



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუპრადის გამოსხივების პრინციპი

კუპრადის გამოსხივების პრინციპი, პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს დრეკადი სტაციონარული რხევის სასაზღვრო ამოცანათა ამონახსნების ერთადერთობას უსასრულო გარე არისათვის. პირველად, ფიზ. მოსაზრებებზე დაყრდნობით, გამოსხივების პირობები ჰელმჰოლცის განტოლებისათვის ჩამოაყალიბა ა. ზომერფელდმა (1868–1956, გერმ.). თუ განტოლებისათვის დასმული გარე სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი აკმაყოფილებს ზომერფელდის გამოსხივების პირობებს, მაშინ ის ერთადერთია; ასევე, თუ დრეკადი სტაციონარული რხევის რომელიმე გარე სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი აკმაყოფილებს კუპრადის მიერ ჩამოყალიბებულ გამოსხივების პირობებს, მაშინ ისიც ერთადერთია.

ლიტ.: К у п რ ა დ з ე В. Д., Граничные задачи теории колебаний и интегральные уравнения, М., 1950; მ ი ს ი ვ ე , О принципе излучения Зоммерфельда, Доклады академии наук СССР, 1984, №2; მ ი ს ი ვ ე , Трехмерные задачи математической теории упругости и термоупругости, 2 изд., М., 1976. (თანაავტ.).

თ. გეგელია
